# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000096572126219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com


№ **22** **01 / მაისი / 2019 წ.**

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. დუისში მდებარე 70017კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა, და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული **სოფ. დუისში მდებარე 70017კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას,** (საკადასტრო კოდი 50.06.35.128)

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-2490.0 (ორიათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით:

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი